საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 49 ნოემბერი 24 1896 წ. № 49

შინაარსი: კვირიდან კვირამდე მაზაკვალისა.—ვაჟა-ფშაველას პოეზია, (შემდეგი) ი. ნაკაშიძისა.— სხვა-და-სხვა ამბავი.— „კვალის“ კორესპონდენციები.—იახშიოლ, (ალავერდის პასუხათ) ლექსი რუს-იმერელისა.—უცხოეთიდან: სოფელი და სასოფლო სკოლა გერმანიაში, (შემდეგი) საზღვარგარეთელისა.—განგება ღვთისა აღსრულდეს, (ოსური ლეგენდა) ა. ერისთავისა.—უცხოეთის ამბები.—სახუმარო გასართობი ი—კო მეთვალყურესი.—კვალის ფოსტა და განცხადება.

№ XI „ჯეჯილისა“ გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერლებს.

ვაჟა-ფშაველას პოეზია. *)

(კრიტიკული ცდა.)

ცეცხლი ჰკრთებოდა ღველფზედა
ჩონგურს უკრავდა დროული;
კაცი რამ უჯდა გვერდზედა,
დამღერდა გმირობისასა,
მამა-პაპათა ცდისასა:
როგორ არბევდენ ფშავ-ხევსურთ,
სისხლს არ არჩენდენ ძმისასა,
ყველგან მადლობას სწირავდენ
მარჯვენას კაი ყმისასა.

ვაჟა.

ჩვენ მივუახლოვდით ახლა ვაჟას პოეზიის ძირითად შინაარსს, მისი ყულრმესი სიმების კილოს. აქამდის ჩვენი ნათქვამი კი ვაჟას შემოქმედების ფორმასა და მიდამოს შეეხებოდა. ვაჟა ცნობილია ჩვენში როგორც პოეტი—ეპიკოსი. ამ სიტყვას განმარტება სჭირია. ეპოსი, როგორც ყველაფერი ამ წუთი-სოფელში, მრავალ აზრიანი და მრავალგვარია. ეპოსი [1])—მოთხრობითი პოეზიაა, პოეზიის ერთი უძველესი დარგია, და მისი დასაბამი, ქვეყნის დასაბამივით, ბინდით არის მოცული. ეპოსი მოგვითხრობს ერთა მოქმედებას, ხალხის უწარჩინებულესთა ნალვაწ-ნაგმირალს. მეცნიერების შუქის წყალობით, ჩვენ ეპოსის გაჩენამდის გამოცხადებულს მის წინამორბედსა ვხედავთ: ღვთიურ-ზეციურ ძალთა შესხმას, ჰიმნების პოეზიას. ადამიანმა პირველათ რომ თავი გაიცნო, თავის მოძმეს ხელი მისცა და კაცობრიობამ, ხელი-ხელ მოკიდებულმა, გულის სიღრმიდან ღმერთთა მიმართ შესხმა-დიდება აღაკმია, ეს იყო ჰიმნების შემოქმედება, ხოროთ საგალობელი, კაცობრიობის ალმომავალი პოეზიის პირველი სხივი.

შემდეგ გაჩნდა ეპოსი, პოეზია გმირული, ერის გამოჩენილ შვილთა, ამ ქვეყნათ ღვთის მოციქულ-

*) იხ. „კვალი“, № 47.

[1]) Brockhaus' Konversations — Lexikon, Epos.

თა ღვაწლის შესხმა-დიდება. სხვა-და-სხვა ხალხთა ეპოსი სხვა-და-სხვაობს ფორმითა და შინაარსით; ხოლო ვერსად ვერ ნახავთ იმდენათ დაცემულ ხალხს, რომ, თვით ეპოსი თუ არა, მისი მზგავსი რამ, მისი ძირეული კილო არ ჰქონდეს რამენაირათ გამოთქმულ-გამოცხადებული. ეპოსი—ერის შემოქმედებითი სიტყვაა, მისი სულის სარკეა ყველგან: შიგ ერის სულიერი შინაარსი, მისი ზნე-ხასიათი, მისი გრძნობა-მისწრაფებანი, მისი რჯული და „მრწამსია“ ცოცხლათ გამოსახული. და, როგორც ორ ისეთ ადამიანს ვერ ნახავთ ვერსად, რომ მათი გულები ერთ კილოზე ძგერდეს, ისე ორ ხალხის, ერის სიტყვიერებას ვერ ნახავთ ყველაფერში ერთმანეთის მზგავსსა.

„ეპოსნი განსხვავდებიან ერთმანერთისაგან როგორც ხალხთა ხასიათის მიხედვით, აგრეთვე თავისი გვარით: ეპოსი ზღაპრული, ისტორიული, სალაღობო, რელიგიური—სარწმუნოებრივი და სხვ. ჟამთა მსვლელობაც თავის შესაფერ ეპოსს შეჰქმნის. პირველათ ჩნდება ეპოსი ხალხური და ამ ეროვნულ ნიადაგზე ყვავის შემდეგ ეპოსი ხელოვნური. უმაღლეს ეპოსში ეს ორი გვარი შეერთებულ—შესისხლხორცებულია. ამის დიდებული მაგალითებია ჰომეროსის ,,ილიადა და ოდისსეი.‘‘ ხალხის შემოქმედების ხასიათი უწმინდესათ არის დაცული ამ საუცხოვო პოემებში და თან ხელოვნების შუქითაა განათებული.

თავისუფალ არსებობისათვის მებრძოლი ხალხი—გრძნობა-გაღვიძებული, ცოცხალი ხალხია. მძლავრი სულის-კვეთება უღვიძებს ადამიანს გულში ღვთიურ ნაპერწკალს. იქ, სადაც სიცოცხლე მოდუნებულია, ადამიანის გული მკვდრული ძილით არის პყრობილი. მხოლოთ მძლავრი გულის წადილი, აღტაცებული სულის მისწრაფება შექმნის სრულ ადამიანს.

პოეზია—წმინდა წვეთია, გულის სავსე ფიალით ცხოვრებაში გადმონადენი. პოეზია, ვით სიტყვა, გულის ღაღადისი. აღშფოთებული გული ვერ დაცხრება, სანამ თვის მღელვარებას ბაგეთ არ გამოათქმევინებს. თვითოეული ადამიანის გული მთელი ერის გულის სარკეა. ერი, როგორც ადამიანი, არ სდუმს, თუ გულში ბევრი აქვს სათქმელი. ეპოსი—სიტყვაა, მღელვარე გმირი ხალხისაგან აღმონათქვამი. გმირ-ბელადთა ღვაწლით არის ხალხური ეპოსი სავსე, რადგან ისინი არიან ერის მაგალითი, ხალხის იდეალი. ხალხი ისე შეჰყურებს მისი ეროვნული თავისუფლების დამცველს, როგორც განათლებული კაცი მთელი თავისი ცხოვრების მიზანს. ცხოვრების მიზანი, ნათლათ შეგნებული, უშრეტ სინათლეს ჰფენს ადამიანის სიცოცხლეს სიკვდილამდე. გმირის ღვაწლიც ნათელი კანდელია ერის ცხოვრებაში. გმირი იცავს ხალხს ტყვეობისა და გადაგვარების საზარელ წყვდიადისაგან, დამოუკიდებელ ცხოვრებას უმკვიდრებს ამ წუთი-სოფელში და ამიტომ გმირი, ხალხის თვალში, ქვეყანაზე ღვთის მოადგილეა, განგების განხორციელებაა, და ხალხური პოეზია, ეროვნული ეპოსი, სულ ამ გმირ-მაცხოვართ დასტრიალებს და თავს ევლება თავ-მომწონეთა და ღრმა სიყვარულით. გმირთა შესხმა-დიდება საუკუნოობით ცოცხლობს ხალხში. ეპოსი—წმინდა ხალხური მგოსნების შემოქმედებაა, მთელი ხალხის სულიდან აღმოცენებული, მთელი ხალხის საკუთრება. „ცალკე ჰანგებს, რომლებიდან შედგება ხოლმე თანდათან ხალხური ეპოსი, ხალხური მღერალ-მგოსნები შეჰქმნიან და თავისი მშობელი ერის ცხოვრებაში ისტუმრებენ. აქ, თავის ხალხში, ეროვნული ჰანგები ათასნაირ ცვლილებას გამოივლიან ხოლმე. თვითოეული ხალხის შვილის ბაგე თავის დაღს ასვამს მამა-პაპათაგან ნაანდერძევ ჰანგსა და ისე გადასცემს ხოლმე გარშემო ცხოვრებასა და შემდეგ მოდგმათა. ამნაირათ ხალხური ჰანგი თანდათან წმინდა ეროვნული შინაარსითა და სიცოცხლით ივსება და წარმოადგენს მთელი ერის სულიერ საგანძურს. შიგ გამოსახულია ხალხის გრძნობა და ფიქრი, ნატვრა და ოცნება, იმედი და გულის რწმენა.‘‘

„გმირ-რაინდული ჰანგები ხალხის გადმოცემაში შეერთ-შეჯგუფდებიან ხოლმე უწარჩინებულეს გმირთა შესხმა-დიდების ირგვლივ და ამნაირათ ჩნდება ვრცელი ხალხური მოთხრობითი პოეზია—ეპოსი“.

ხელოვნური ეპოსი კი ერთი განცალკევებული ადამიანის ნიჭის ქმნილებაა. ხალხური ეპოსი ამ შემთხვევაში მხოლოთ მასალაა, რომლით გენიოსი თავის ბრწყინვალე შენობას აგებს და თავისი საკუთარი კანდელით გაანათებს ხოლმე.

რა ხასიათის ეპოსია ეპოსი ვაჟა-ფშაველა—რაზიკაშვილისა? ამაზე ჯერ-ჯერობით, სანამ ერთ-ერთ მის ქმნილებას არ გავარჩევთ, გადაჭრილ პასუხს არ ვიტყვით. ვაჟას ნიჭი განსაკუთრებით მის პოემებში [1]) გამოიხატა და მისი შემოქმედების საუკეთესო ნიმუში, ჩემის ფიქრით,—პოემა „სტუმარ-მასპინძელია“, სხვებზე უფრო დასრულებულ-შემუშავებული სურათია.

ვაჟამ 1881 წელს მორთო თავისი პოეტური

---

[1]) „გოგოთურ და აფშინა“, გაზ. „ივერია“, № 181 1887 წ.; „ალუდა ქეთელაური“, „ივერია“ № 262 და შემდეგ, 1888 წ.; „ეთერი“, №№ 192—197, „ივ.“ 1890 წ.; „ბახტრიონი“, ,,ივ.‘‘ №№ 29 და შემდ., 1892 წ.; „სტუმარ-მასპინძელი“, ,,ივ.‘‘ № № 146 და შემდ. 1893 წ.

ჩანკი და 1893 წელს ეს უკანასკნელი პოემა, „სტუმარ-მასპინძელი“, შესძინა ჩვენ მწერლობას [2]).

ღამის წუვდიადში ჩაფლული
გამტკნარებულის სსნითა,
მოჩანს ქისტეთის მიდამო
სალის ველებისა ტასტითა.
ბნელს სვეზე მოჭეფს მდინარე,
გულ-ამდვრეული ჟანრითა.
გადმოსრილიყვნენ მთანიცა,
ფელ-ბირს იბანდენ წყალზედა;
ბევრი მომკვდარა მათ მკერდზე:
სისხლს ვერ ისდენენ ტანზედა.

ასე იწყებს ვაჟა თავის „სტუმარ მასპინძელს“, და, როგორც საოპერო მუსიკის ინტროდუქცია, ისე ეს შესავალიც იდუმალთ გვაგრძნობინებს მთელი შემდეგი პოემის ძირითად, „ნაღელით ნაქარგსა“ კილოსა. თითქო მწუხარების ანგელოზი აღზდგა ჩვენ თვალ-წინ, ფრთები გაშალა და პოემის შესავალი დაჩრდილა.

კლდეებში ეიწრო ბილიკზე გამოჩნდება ეიღაც უცნობი მგზავრი; მოდის გაჭირვებით,—

ფესს ძღივს ატიდებს ფესზედა.

. . . . . .

გაღმა ჩანს ქისტის სოფელი,
არწივის ბუდესავითა:
სასმო არის საქონელთა,
დიატის უბესავითა.
სოფლის თავს სძინავს შავ ნისლსა,
დაფიქრებულის სსნითა.
ეურს უგდებს არე-მარესა
გულ-ლაღობს სანასავითა.

ეს არის პირველი სცენის დეკორაცია, პოეტის კალმით დახატული მთიანი ბუნება.

ნელათ მომავალ მგზავრს რაღაც ხმაურობა ესმის. ეიღამაც ზეიდან კლდის ლოდი გადმოაგორა. ალბათ მტერია, და მას მარჯვეთ დახვედრა უნდა. მზათ არის თოფი... ერთი წამი... და გაღმა მეორე მგზავრი გამოჩნდება, იმასაც—

უბრწყინავს სალტე თოფისა,
ვით წვიმის ცვარი დიღითა.

„გადაეძახნენ“ ერთმანერთს. ორიკე-მონადირენი არიან. სამტეროა—საცილობელი არაფერი აქვთ. გაბეს ძმური საუბარი. ერთმანეთს თვის თავ-გადასავალს ებნებიან. ბევრი მწარე დღე, ბევრი გაჭირვება გამოუვლია ამ ორ მთის შვილს კლდის ნადირთ დევნაში; ბევრი შავი ნისლები გაურღეეეიათ ლომ-მკერდით და ხეებში ამ ნისლთა მრისხანე შვილებს, ნიავთა „მშიერ-მგლური ღმუილი“ მოუსმენიათ. რამდენი მათგან დამფრთხალ-გადაფრენილი ჯიხვის რქა „ესმოდა კლდეებს!“ აი ერთი მოკლულიცა,—და მონადირემ უჩვენა თავის ამხანაგს ჯიხვი რქიანი,—

მკვდარი, რქებ-გადაგდებული,
დადუმებული, ჭკვიანი.

სიკვდილმა უქნა ეს კლდის ჯიხვსა „გუნებამძიმეს“: თავისი იდუმალი დაღი დაასვა და „დაჭკვიანა“.

ჯოყოლა ეპატიჟება ნუნუას თავის საფელში, თავის სახლში ღამის გასათევეათ. ნუნუამ დამალა თავის ნამდვილი სახელი „ზვიადაური“, რადგან მას კარგათ იცნობენ ქისტები, როგორც თავის მოსისხლე მტერსა; ბევრ ქისტს ავალა მან სისხლი, ბევრს მოაჭრა მძლავრი მარჯვენა.

ჯოყოლა ალხასტაიძე ამაღამ ნუნუა-ზვიადაურის მასპინძელია. აი შავათ გამოჩნდენ სოფლის კოშკები, მოისმა ძაღლების ყეფა და მონადირე —„სტუმარ-მასპინძელი“ ბინაზე მივიდენ. ჯოყოლას სახლით ისმის ჩონგურის ჟღერა. „დროული“ კაცი ზის ცეცხლის პირს, უკრავს ჩონგურსა და გმირულ ჰანგებს დამღერს.

ახალ-მოსულთა და დაღალულ სტუმრებს დაუხვდება და გაუმასპინძლდება ჯოყოლას ლამაზი ცოლი. ჩონგურის დამკვრელი, ჭაღარა-შერთული მღერალი, წამოდგება ფეხზე, „როგორც კლდის ვეფხი ძლიერი“, მაგრამ, ზვიადურს რომ დაინახავს, „მგლის ფერი დაედება“ და „ხანჯლისკენ ხელი მიუდის“. მთიული, სხვის სახლში სტუმარი, „ვერ გაშლის ხათაბალასა“. მოხუცი გულში ხელს ჩაიკრავს, ჩუმათ გადის გარეთ, კარი-კარს დადის სოფელში, „ენასა ლესავს შხამითა“ და ყველას ატყობინებს საზარელ ამბავს: ჩვენი სოფლის შვილმა თავის უბეში ჩვენ ამომგდებ გესლიან გველს მისცა ბინაო. აღელვდა მთელი სოფელი. ქისტეთში წესია, თავის მკვდარ-მოკლულს მისი მკვლელის თავი უნდა შესწირონ, მკვდრის საფლავზე უნდა დაჭკლან.

მთელი სოფელი შეიარაღებულია და პირველათ ჯოყოლას სახლში მზეერავ—„მოყურიადეს“ გზავ-

[2]) „სალიტერატურო მიმოხილვა“, გ. ყიფშიძისა ჟურ. „მოამბე“, № II, 1896 წ.

ნის, „ლიქარდიანის ენითა“, მან უნდა ნახოს, სად დაუდგმენ ზვიადაურს ლოგინს და სოფელს უნდა შეატყობინოს.

ი. ნაკაშიძე.

(შემდეგი იქნება)

სხვა-და-სხვა ამბავი.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს უშუამდგომლია, რომ ამერ-კავკასიის უმაღლეს მთავრობამ შემწეობა აღმოუჩინოს, წლიურათ 1000 მან., მომავალ ხონის სახელოსნო სკოლის შესანახავათ. როგორც „ნოვ. ობოზ.“-ეს გაუგია, ეს თხოვნა შეუწყნარებიათ. ამ სკოლის შენობის გასაკეთებლათ 4 საზოგადოებას, სახელდობრ: ხონის, ნახახულევის, განირის და კუხისას უკისრნიათ 11,300 მანეთის გადახდა. ხოლო წლიურათ კი უნდა იხადონ 1735 მან.

* * *

„თბილისის ფურცელს“ პეტერბურგიდან ატყობინებენ: „Пр. вит. Вѣст.“-ი საყოველთაოთ აცხადებს, რომ, რადგან თოვლის და ზვავების გამო მთებში, კავკავის სამხედრო გზაზე მიმოსელა შეჩერებულია, თბილისიდან 18 და კავკავიდან 19 ნოემბერს გამოსული ფოსტა გზაშია გაჩერებული და თოფლი და კორიანტელი არ შეწყვეტილა, ამიტომ განკარგულება მოუხდენიათ, რომ ფოსტა ბათუმზე და ნოვოროსიისკზე იგზავნებოდესო.

* * *

თავ. ზაქ. გ. ერისთვის წერილია დაბეჭდილი „ნოვ. ობოზრენიაში“; იგი ურჩევს ჩვენ თავადაზნაურობას: „გაჰართონ „თვით დამხმარებელი თანხა“, როგორც, მაგალითათ, გაუმართავთ ჩერნიგოვის გუბერნიის თავად-აზნაურობას, რომელსაც ღღიურზე თავიანთ ნება-ყოფლობით დაუნიშნავთ გადასახადი. ჩვენშიაც ამსაქმის მოწყობა უნდა იკისრონ თვით თავადაზნაურობის წინამძღოლებმა. ყველა მემამულემ უნდა ნება-ყოფლობით გამოვიღოთ ჩვენი წელილი, თუნდ თითო მანეთი წელიწადში და რადგან თბილისის გუბერნიაში ითელება 100 ათასი სული, მაშასადამე წელიწადში შემოვა 100 ათასი მანეთი და გაჭირების დროს ყველა მემამულეებს შეეძლება უსარგებლოთ შემწეობის მიღება დროებით, ზოგიერთს მიეცემა სრულებითაც. რადგან, ღასძენს თავ. ზ. ერისთავი, ჩვენი მამულები ჯერ ყველა გამიჯნული არ არი, და ბანკში დაგირავება მემამულეს ხშირათ ცრიელზე სვამს, ეს მოუტანს დიდ სარგებლობას ჩვენ მემამულეებს“. აქ უნებლიეთ მოგვაგონდა გორის მაზრის სათავად-აზნაურო ყრილობა ამ რვა-ცხრა წლის წინეთ, როდესაც უნდოდათ შეილების ასაზრდელათ შეედგინათ თანხა და როგორ დაიფრინეს ამ საქმის მეთაურები.

* * *

მოვაგონებთ ჩვენ მკითხველებს, რომ ქალაქის მამულზე დარჩენილი გადასახადის (недоимки) შეტანა დააჩქარონ, რადგანაც საქალაქო ამომრჩეველთა სიის შედგენას მომავალი იანვრის პირველ რიცხვებიდან შეუდგებიან; შესაძლებელია, „რომ ვისაც დარჩენილი გადასახადი შეუტანელი ექნება, ეს მიზეზათ ხელთ აგდონ და ჩვენი მემამულენი ამ სიაში არ მოაქციონ. ამას წინეთ ჩვენ დავსტამბეთ „კვალში“ შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულება იმის შესახებ, რომ საქალაქო არჩევნებში იმ მემამულეთაც შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა, რომლებზედაც გადასახადი დარჩენილია. მაგრამ ვინ იცის, ჩვენი ქალაქის ღღევანდელი გამგეობა როგორ იხელმძღვანელებს ამ განკარგულებით. ყოველ შემთხვევაში საჭიროა, რომ თვით ქალაქის გამგეობა ოფიციალურათ აცნობებდეს ქალაქის მემამულეთ, თუ როგორ ესმის მას მინისტრის განკარგულება და მაშინ ყველასათვის აშკარა იქნება, თუ რა საშუალება იხმაროს ამომრჩეველმა საზოგადოებამ. კარგი იქნება აგრეთვე �иц, რომ ვინმე მემამულემ კერძოთ გაიგოს ამ საქმის ვითარება ქალაქის გამგეობაში, და თუ ამ უკანასკნელს მინისტრის განკარგულება სხვა ნაირათ ესმის, იმ შემთხვევაში იმავე კერძო კაცმა სხვებსაც აცნობოს ეს გაზეთის საშუალებით.

* * *

ერთი თვეა რაც დაიწყო სომხური დრამატიული საზოგადოების წარმოდგენები. ამ ცოტა ხანში წარმოადგინეს 4 მოქმედებიანი კომედია, ნათარგმნი კარგი ენით „ტოროლა“, მაგრამ ხალხი ცოტა დაესწრო. საზოგადოთ თეატრი ცარიელია ხოლმე.

10 ქრისტეშობისთვეს დანიშნულია ბ-ნი ოპანიანცის ბენეფისი, უნდა წარმოადგინონ ბ-ნი გუნიას დრამა „დაძმა“ სომხურათ ნათარგმნი.

* *
*

გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ას ატყობინებენ ბათუმიდან, რომ ნავთის წარმოების საქმე სუფსის მახლობლათ ჟულ უფრო და უფრო წინ მიდის. სადაც კი სცადეს ნავთის ამოჩენა, არსად არ მოტყუებულან. ამ ჟამათ ნავთის წარმოების საქმე უკვე დაწყებულია სხვა-და სხვა კაპიტალისტების მიერ. სხვათა შორის, ამას წინეთ ბ. მანთაშოესაც აუღია იჯარით მიწა სადგურ ნატანების მახლობლათ ამავე მიზნით.

* *
*

ჩვენ მივიღეთ ქუთაისიდან პატარა წიგნაკი სათაურით: „საზოგადოება ცეცხლისაგან შენობების უზრუნველ-მყოფელი ურთიერთ შორის და მისი უპირატესობა აქციონერულზე (ქუთათურების საყურადღებოთ) სტ. ხოჯივანაშვილისა. დაბეჭდინა გამგეობამ ქუთაისის შენობების ცეცხლისაგან საურთიერთოთ უზრუნველ-მყოფელის საზოგადოებისამ“. ეს წიგნაკი ძლიერ საინტერესოა და მიუხედავათ უხერხულათ შედგენილი სათაურისა, ყველა დიდი სიამოვნებით წაიკითხავს; მასში განმარტებულია ცეცხლისაგან დამზღვევი საურთი-ერთო საზოგადოების უპირატესობა აქციონერულ საზოგადოებაზე და აგრეთვე მოყვანილია ცნობები ცეცხლისაგან დამზღვევი საურთიერთო საზოგადოებისა ქუთაისში.

* *
*

ბათუმის ქარხნებში მომხდარ ბოროტ-მოქმედებათა გამო დამოჟნის დეპარტამენტს დაუდგენია შემდეგი: 600,000 ფუთ განზრახ-დაფარულ თუნუქაში გადაახდევინოს ჯარიმათ თითო ფუთში 1 მ. 55 კ. ოქროთი. აგრეთვე გადახდებათ ჯარიმა შინაურ ბაზრებზე გაყიდულ თუნუქისათვის. ვინიცობაა, თუ მექარხნეებმა უარი განაცხადეს ამაზე, იმ შემთხვევაში იმათი ქონება ასწერონ და საქმე სასამართლოში გადასცენ.

*
* *

ამას წინეთ თითქმის ყველა ადგილობრივმა გაზეთებმა აუწყეს საზოგადოებას, რომ კახეთში იქაურ ექსპერტს, ბ. სპეშნევს, ვაზებზე შეუმჩნევია ერთგვარი ავათმყოფობა, რომელიც თავის თვისებით ძლიერ წააგავს ვენახების მეტათ საშიშარ ავათმყოფობას ბლეკ-როტს (შავი სიდამპლე, черная гниль). დასარწმუნებლათ იმის, რომ ეს ავათმყოფობა მართლა გაჩენია ჩვენებურ ვენახს, საფილოქსერო კომიტეტის მიერ გაგზავნილ იქნა კახეთში უფროსი აგრონომი, ვ. სტაროსელსკი, რომელიც ჩვენში ყველაზე უფრო მცოდნე პირათ ითვლება ამ საგნის შესახებ. ბ. სტაროსელსკიმ ხსენებული ავათმყოფობის გაშინჯვას შემდეგ სრულიად უარ-ჰყო ბ. სპეშნევის აზრი და მასთან ბლეკ-როტის არსებობა კახეთში. საეჭვო სენით დაზიანებული ყურძენი გაუგზავნეს ცნობილ სპეციალისტებს საფრანგეთში და იტალიაში.

ერთი ამათგანი, პროფესორი ვიალა, კახეთიდან გაგზავნილი ყურძნის გაშინჯვას აი რა დასკვნამდის მოუყვანია: „ჩვენ ამ კვირაში (ნოემბრის დასაწყისში) მივიღეთ კახეთის ვენახებიდან ყურძნის მტევნები, რომლებზედაც დამწიფების დროს შეუმჩნევიათ საეჭვო სენი, რომელმაც დიდათ დააშინა რუსეთის მევენახეები, რადგანაც ეს ავათმყოფობა უეჭველათ ბლეკ-როტია. ბლეკ-როტი გაშინჯულ ყურძენზე იქვს მხოლოთ იმიტომ ბადავს, რომ ყურძნის მარცვლები ისე დამჭკნარი, გამხმარი და გაშავებული არ არიან, როგორც ეს იცის ჩვეულებრივათ ბლეკ-როტმა, არამედ მოწითანო ფერი აქვთ და ამასთანავე არც ისე გამხმარი არიან. მაგრამ მიკროსკოპიულ გამოკვლევამ დაგვანახვა, რომ ეს ავათმყოფობა სწორეთ ბლეკ-როტია, რომელიც რუსეთში დღეს პირველათ აღმოაჩინეს“. („Revue de la Viticulture“ 14 ნოემბრიდან).

პროფესორ ვიალას აზრი მეტათ საინტერესოა. 23 ნოემბერს საგანგებო სხდომაზე ბ. სპეშნევს უნდა წაეკითხა ვრცელი მოხსენება ამ საგნის შესახებ. თავის დროზე ჩვენ წარვუდგენთ მკითხველებს როგორც ამ ავათმყოფობის დაწვრილებით აწერას, ისე იმ ზომებს, რომლებსაც საზოგადოთ ხმარობენ მის წინააღმდეგ.

„კვალის“ კორესპონდენციები.

ბათუმი. „არ მომკვდარა, მხოლოთ ძინავს“ ბათუმის ასე წოდებულ ინტელიგენციას და „როდის გაიღვიძებს“, იმისი რა მოგახსენოთ. ძინავთ ბათუმლებს განსაკუთრებით საზოგადო საქმისათვის. პირადი ინტერესისათვის და თავიანთ ჯიბისათვის ჰაი, ჰაი, რა ფხიზელნი არიან ბათუმლები! ამ გვარათ ბათუმში, როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებშიაც, საზოგადოებას ინდივიდუალიზმი (ცალცალკეობა) ამარცხებს. ეს აზრი იმდენათ ჭეშ-

მარიტია, რომ „ხელის-ხელ საგოგმანებლათ" შეიქმნა, დაძველდა და გაცვდა.

ბათუმში ყველაფერი მოიკითხეთ, მხოლოთ გონებრივ საზრდოს, ესტეტიკურ სიამოვნებას, ნუ დაუწყებთ ძებნას. ეგ დროს — ცუდათ დაკარგვა იქნება. აქ, ქალაქის შუა გულში, მრავალია სახლები, სადაც ბუდობენ „დაკარგული არსებანი", მრავალია სამიკიტნოები და სხვა ამგვარი გასართობი ადგილები. სამაგიეროთ აქ ერთ სამკითხველოს, ერთ წიგნთ-საცავს ვერ იპოვით. ვერ იპოვით, რადგანაც არ არის.

როგორც დარწმუნებით ვიცით, აქ ამ რამდენიმე წლის წინათ, სამკითხველოს გახსნისათვის შეაგროვეს ექვსასი მანეთი და წიგნები. ამ საქმის მეთაურობა რამდენსამე აქაურ ქალბატონს და ერთ მდივანს ჩაბარდა და მას აქეთ ჩაჩუმდა ბათუმის სამკითხველოს საქმეც. ვისაც ვკითხე, ვერავინ ვერ მიპასუხა, თუ როდის გახსნიან ბათუმში სამკითხველოს. ამბობენ, „არ მომკვდარა, მხოლოთ ძინავსო!" ნეტავ, როდის გაიღვიძებს?

ამასობაში კი ბათუმის აუარებელ მუშა ხალხს და თვით ინტელიგენციასაც (sic) არავითარი ღონისძიება არა აქვს, რომ სადმე რამდენიმე სტრიქონი წაიკითხოს, თუ საკუთრებათ არ იშოვნა წიგნი. ბათუმში ორი წიგნის მაღაზიაა, მაგრამ ორივეში წიგნების სია ძლიერ მცირეა. ბევრიც რომ იყოს, რა გამოსადეგია? მდაბიო ხალხს წიგნის ყიდვის შეძლება არა აქვს და აგრეთ წოდებული ინტელიგენცია კი „გეშეფტის" სავაჭრო საქმეს გარდა არაფერს დაეძებს.

ესტეტიკასაც არ წყალობს ბედი ბათუმში. შემოდგომას აქ უკრაინელთა არტისტიული დასი მართავდა წარმოდგენებს, მაგრამ ეს დასი ძლიერ სუსტი იყო. ახლა ჩვენი „რკინის თეატრი" ცირკათ გადააკეთეს და თბილისიდან „სური" ჩამოვიდა. სრული იმედი გვაქვს, რომ ბათუმლები ცირკისა უფრო ბეჯითი სტუმრები იქნებიან, ვიდრე თეატრის.

იშვიათათ და ძლიერ იშვიათათ ჩვენ ქალაქს ესტუმრება „გზათ მიმავალი" რომელიმე გამოჩენილი მსახიობი, როგორც, მაგალითათ, გასულ კვირეებში ჩამოფრინდა ბათუმში „ამერიკის ბულბული", „იპიკჰია, გვალხინა" თავის ორი კონცერტით და გაუდგა გზას.

კვირას, 10 ნოემბერს მსახიობმა ს. ხარაზიშვილმა მითხრა: თუ გინდა, წამოდი, ნოქრების წარმოდგენას დაესწროთო. მე და ბ. ხარაზიშვილი წავედით ქალაქს გარეთ, ბარცხანაში, სადაც ნავთის ქარხნებია გამართული. აქ რამდენსამე ნოქარს დაუქირავებიათ ერთი ძველი შენობის ზეითი სართული. (ქვემო სართულში ორი მიკიტანი და ერთი ფურნეა). „თეატრის პარტერი" გახლავთ მოზდილი ოთახი. შიგ უბრალო ხის სკამები აწყვია; მეორე პატარა ოთახის ფიცრის კედელი გამოღებულია და ჩითის ფარდა არის ჩამოფარებული. არც ესტრადა, არც დეკორაცია, არც სუფლიორის კუნჭული არ მოიპოება. უნებლიეთ გამახსენდა შექსპირის დროის სცენა, როდესაც „პროლოგი" გამოვიდოდა და იტყოდა: „ახლა, ბატონებო, სცენა წარმოადგენს ზღვაში ღელვას, სადაც გემი იღუპება". განსხვავება ის არის, რომ იმ დროს შექსპირის დრამებს არდგენდენ, აქ კი გუნიას ვოდევილებს. იქ გენიოსური არტისტები იღებდენ მონაწილეობას, აქ კი ნოქრები და მათი ცოლები.

მაგრამ, რაც იყო და იყო, მაინც წარმოდგენამ არტისტი ხარაზიშვილის დახმარებით, იმდენათ გაარიანათ ჩაიარა, რომ საზოგადოება (ქარხნის მუშები) არ დარჩა უმადური.

მითხრეს: ეს მეორე წარმოდგენა არისო. პირველ წარმოდგენას 160 კაცი დასწრებია. ახლა 80 იქნებოდა. ცხადია, რომ გამართულ წარმოდგენებს ბევრი ნაკლი ჰქონდა. მაგრამ რა ჰქნან გამოუცდელმა ნოქრებმა? საჭიროა, რომ ბათუმის შეგნებულმა ყმაწვილ-კაცებმა და მანდილოსნებმა (ამბობენ, ბათუმში მოიპოებიან ამისთანები) მიიღონ ამ კეთილ საქმეში მონაწილეობა.

მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, აქაური ინტელიგენცია „არ მომკვდარა, მხოლოთ სძინავს"!

როდის გაიღვიძებთ, ბათუმლებო?!.

მინდოდა ქალაქის მმართველობაზედაც მეთქვა რამდენიმე სიტყვა, მაგრამ, როდესაც ამ საგანზე, ჩვენდა საუბედუროთ, ზოგიერთი მეგაზეთეები ბევრს მართალს ლაპარაკობენ, იქ ჩვენ რაღა გვეთქმის!

ბ. ს.

***

ოკრიბა (ქუთაისის მაზრა). ამდენი ხანია ჩვენ ჟურნალ-გაზეთობას თვალს ვადევნებ და ოკრიბაზე კი არაფერი არ გამიგონია. ნუ თუ ასე უმნიშვნელოა ეს მხარე?

ოკრიბა მდებარეობს ქუთაისიდან, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ და შედგება ხუთი საზოგადოებისაგან. მთელი ოკრიბა მთა-გორაკიანია, და ამიტომ მოსავალიც ნაკლები იცის, ასე რომ ადგილობრივათ მოყვანილი ჭირნახული ძლიერ იშვიათათ ჰყოფნით აქაურ მცხოვრებთ. ხშირათ ქვემო იმერეთიდან ეზიდებიან სიმინდს. აქ უმეტეს ნაწილათ მოყავთ ღომი და სიმინდი. ზოგიერთ სოფლებში თიხის ქურჭელ-

საც აკეთებენ. კურსებელი კეცი და ოკრიბელი ლომი განთქმულია ქუთაისში; რაც შეეხება სწავლა-განათლებას, ამ მარით კი, ვგონებ, უკანასკნელი ადგილი უნდა ეჭიროს ამ მხარეს მთელ საქართველოში. ასევე ითქმის ზდილობიანობაზედაც. ახლა რაც ტყიბულში რკინის გზა გაიყვანეს და სხვა-და-სხვა ხალხის მიმოსვლა გაიმართა ამ მხარეში, ზოგიერთებმა წაბაძვით ცოტ-ცოტათი შეითვისეს თავაზიანობა; მაგრამ დღემდისაც სწავლის შეძენის სურვილი მცხოვრებლებს სრულიად არ ეტყობათ. სულ ამ ხუთ საზოგადოებაში არსებობს ერთათ-ერთი სამინისტრო ერთკლასიანი სკოლა, სადაც ამ ჟამათ მე თქვენი უმორჩილესი მონა ვიმყოფები მასწავლებლათ, მაგრამ სკოლა, რომელიც მთავრობას ძალდატანებით გაუხსნია აქ, ისე არ უყვართ მცხოვრებლებს, როგორც ურიას ღორი. იშვიათია, რომ ამ სასწავლებელში ორმოცმა შეგირდმა ერთათ მოიყაროს თავიისიც ზამთარში, თორემ გაზაფხულზე და შემოდგომაზე ვის ცალია სკოლისათვის. მუშაობის დროს განა სწავლისათვის ბავშის მოცდენა შეიძლება! ზოგიერთები პირობასაც თხოულობენ მასწავლებლისაგან: თუ ამ სამ თვეში ჩემ შვილს ყველაფერს ასწავლი, სკოლაში სიარულს დავაწყებინებ, თუ არა და მერე ვერ მოიცლისო.

ახლა ამინდზე და მოსავალზე მოგახსენებთ ორიოდე სიტყვას. შარშან, თუ სადმე ზამთარი იყო, აქ იყო: თოვლი შვიდი არშინი მოვიდა, ბევრი მგზავრი იმსხვერპლა თოვლის ზვავმა. წელს მოსავალს კაცი არ ელოდა, რაკი თესვა გვიანი იყო; მაგრამ, სიმინდის მოსავალმა, როგორც ამბობენ, ბევრ სხვა წლებისას აჯობა, ლომი კი შემოდგომის გამუდმებულმა ქარებმა გააფუჭა ალაგ-ალაგ. მთელი შემოდგომა ხმელი და ქარიანი იყო, რასაც კარგ ტაროსს უწოდებდენ აქაურები რთველისათვის; ღვინოთი ვერც წინეთ მოჰქონდა თავი ამ მხარეს, მარა წელს მაინც ხომ სულ მოისპო.

სოფლის კაცი.

* *
*

ქ. ნახჩევანი (ერევნის გუბერ.) სომხები ამ ქალაქს „ჰინ“ (ძველი) ნახჩევანს უძახიან. ეს სახელწოდება იმიტომ დაურქმევიათ, რომ მისი აშენება მეტათ უხსოვარ დროს ეკუთვნის. ქ. ნახჩევანი მდებარეობს მდ. არაზის (არაქსის) მარცხენა მხარედან ექვსი ვერსის სიშორეზე, ხოლო ერევნიდან 150 ვერსის.

ეს ქალაქი ისტორიულათ შესანიშნავია, თავის ციხით და ნოეს საფლავით (?). როგორც გადმოცემა ამბობს, როცა ნოე არარატიდან დაშვებულა ძირს პირველათ აქ გაუშენებია ვენახი და აქვე გადაცვლილა. მის საფლავათ წოდებული ადგილი მდებარეობს ქალაქზე ცოტა მოშორებით და წარმოადგენს მიწაში ჩაფლულ ოთხ-კუთხიან ქვითკირის შენობას; ამ შენობის შუა-გულ ადგილზე ქვითკირისავე მსხვილი ბოძია; ეს ბოძი სულ შემურულია სანთლებით; აქ მრავალი მლოცველები მოდიან.

შესანიშნავია აქაური მიწის თვისება თავისი სიმაგრით. აქ, როგორც საზოგადოთ მთელ ერევნის გუბერნიაში, შენობებს უმეტეს ნაწილათ ტალახისაგან აკეთებენ. ეს ტალახი ისე მაგრდება, რომ ქვითკირს არ ჩამოუვარდება. წინეთ ციხეებსაც ამ მიწით აშენებდენ, ესენი ახლაც ისე მაგრათ არიან, რომ წერაქვითაც ძნელათ დაინგრევა.

მოსავალი წელს აქ ყველაფრისა კარგი იყო. ეს მოსავალი ჩემის აზრით ერთი-ორათ გაორკეცდებოდა, როგორც აქ ისე საზოგადოთ ერევნის გუბერნიაში, რადგანაც სარწყავი და უმისოთაც ნოყიერი მიწა ხელს უწყობს ამას, რომ რიგიანი და გონიერული მიწის შემუშავება იცოდენ აქაურებმა.

აქ არის რამდენიმე ქარხანა ანუ უკეთ რომ ვთქვათ სამღებრო, სადაც თეთრ ჩითეულობას სხვა-და სხვა ფერადი საღებავებით, ადგილობრივი გემოვნებისამებრ, აჭრელებენ, რომელსაც ხმარობენ აქაური „მზეთ-უნახავი“ ქალები. საკვირველია ამათი ძველი დროის ერთი ჩვეულებათაგანი: თავ-პირზე ჩამოფარებული აქვთ მუხლებამდის: ხოლო იმას ქვეით კი მზისგან დამწვარ-გაშავებული კანი მთლათ უჩანთ!..

ტარ. ჭობარელი.

იახშიოლ.

ალავერდის პასუხათ

გ. ლ. კ. ა—ძეს.

ასშიოლ ძმავ, მეც ქართველურათ
გეტყვი პასუხათ ალავერდისა,
ასე ჩვევიათ იმათ ძველ დროში,
ესევე ტკბილ ხმათ გვესმის დღემდისა.

—

ეს ორი სიტყვა იმ დროს გვაგონებს,
ოდეს ქართველებს ჰქონიათ ძმობა



ფოსტის გადატანა

და მათსა მჭიდროთ შეზექჭდილ მაღას
ვერას აკლებდა გარშემო მტრობა.

—

ამ სიტყვებს შემდეგ ისინი თურმე
მრავალ-ჟამიერს დამღერდენ ტკბილსა,
მაგრამ ლხინშიაც ახსოვდათ ყველას
რაც ვალი ედვა მამულის შვილსა;"

—

ახსოვდათ, რომ მათ მშობელი დედა
ასტაცებული ზრდიდა მისათვის,
რომ გაუკაცურათ საჭირო დროზე
თავი ემსხვერპლათ მამულისათვის!

—

რის გამოც იმათ ტკბილ სიმღერაში,
გმირული ხმებიც გამოისმოდა
და ალღავერდით გარდაცემული
ჟანწ-აზარფეშა ხშირათ ისმოდა.

ისმოდა და თან მათი სიმღერა
ხმა შეწყობილი, ცასა წვდებოდა
და იქ ნაკურთხი განგებისაგან
მირს მტერს გულ-მკერდში ლახვრათ სვდებოდა!

—

ქართველი ყველგან ქართველი იყო,
ლხინში, თუნდ ჭირში, რაც შესვდებოდა,
ომშიაც მკვლებთ სახელს იცავდა:
გაიმარჯვებდა ან მოკვდებოდა!

—

დღეს დრო იცვალა, ქართულ მოლხენას
აწ სულ სხვა გვარი აქვს მნიშვნელობა,
ჩვენსავ მომმეებს მისი დაცინვა
შეუსწავლიათ როგორც ხელობა...

—

არ კადრულობენ მოკეცით ჯდომას,
თუ არ სავარძელს გადაჭიმული,

სამხრეთ აფრიკაში:

სმენის დამტკბობი სუფრულის ნაცვლათ
შემოუღიათ ხმები სხვა რჯული.

—

სულ სხვანაირიც მოსწოსთ სასასმო,
ყანწ-აზარფეშას ვინ მიიკარებს?
და თუ ესტუმრა მათ ჩოხიანი
ჩამოუკეტენ შესავალ კარებს.

—

მჭევრ-მეტყველურათ მოსწრებულ სიტყვებს
ზმა, გამოცანა, მახვილ ხუმრობას,
ჩვენ რჯულზე ნათქვამს, ცხვირს უბზუებენ,
გადაყოლიან წამხედურობას.

—

თარ-ჩონგურის ხმას, მკვნესარე დუდუკს,
სხვის საჩვენებლათ ვითომ წუნობენ
და მით ჰგონიათ თუ გადაგვარდენ,
მათ წინ რომ ურცხვათ მაიმუნობენ.

ჯობს იმათ, ძმაო, ვუჩვენოთ ზურგი,
დავგმოთ იმათი ქვეყნათ გაჩენა,
ვიხელმძღვანელოთ იმ ჩვეულებით,
რომ ძველ ქართველებს მივბაძოთ ჩვენა.

—

ხშირათ გავშალოთ მწვანეზე სუფრა,
რადგანაც იმათ ასე ჩვევიათ
და ნურც შევარყევთ იმ წმიდა მცნებას,
რისგან არც იმათ გადუხვევიათ.

—

შენ ალავერდი, მე იახშიოლ!
გადმომეც ღვინით სავსე ბადია,
ის ვადღეგრძელოთ ვისი სიცოცხლე
და აყვავება გულით გვწადია...

—

საწამლავათაც რომ გარდამექცეს,
გამოვცლი, ძმაო, სწორეთ ცხადია,

იმან ისარგოს, მე ჩემ სიცოცხლეს
ძს განცვალებ, დამიქადა.

—

ალალვერდი თქვი, მეც ისშიოლ,
ანწ-ასარეშეშ დავატრიალოთ
და ზოგიერთებთ გულ-გასაგმირათ
ტკბილი სუფრული ჩავაგრიალოთ!..

—

დეე, დაგეტინონ იმ ბატონებმა,
დატინვის დარსნი ვინც თვით არიან,
ჩვენ მივაშუროთ იმ წმინდა მიზანს,
სითაც სულს და გულს მიუსარიან!!!

რუს-იმერული.

უცხოეთიდან.

სოფელი და სასოფლო სკოლა გერმანიაში

II *)

სკოლა.

სწავლის გასაგძელებელი სკოლის დანიშნულებაა მოწაფეთ არ დაავიწყებიოს სახალხო სასწავლებელში შეძენილი სწავლა-ცოდნა და ამასთანავე მისცეს ახალი ცოდნა პრაკტიკული ცხოვრებისათვის. სწავლის საგანია: საღმრთო რჯული—10 საათი (წელიწადში), თხზულება—20 საათი, ანგარიში—20 საათი, რეალური საგნები—30 საათი.

თხზულების საგანია: ბარათები, თხოვნები, პირობის წერილები, მოწმობა—კვიტანციები, ყიდვა-გაყიდვის, დაქირავება-გაქირავების ხელ-წერილები, სესხება-გასესხება, ეექილის ქალალდები და სხვ. ყველა ამაებში ისე უნდა გავარჯიშდეს მოწაფე, რომ შემდეგ, საჭიროების დროს, თითონ შეადგინოს და მით „მოსე მწერლები“ მეტ ბარგათ გახადოს. ანგარიშის საგანია: მოგება-წაგება პროცენტების გამოთვლა, საანგარიშოები შესახებ მიწის ზომის, გაყოფა—განაწილებისა და სხვ. მაგრამ განსაკუთრებითი ყურადღება მიქცეულია დაზღვევის საქმის შესწავლაზე. გერმანიაში არსებობს საეალდებულო დაზღვევა წინააღმდეგ სიბერისა, დასახიჩრებისა, ავათმყოფობისა და სხვ. თითოეული სრულ-წლოვანი მუშა-კაცი ეალდებულია თავის შემოსავლის დაწესებული პროცენტი დასაზღვევ კასაში შეიტანოს, რომ სიბერის, ავათმყოფობის, დასახიჩრების და სხვა დროს მუქთი შემწეობა მიიღოს. ამისთვის მან უნდა იცოდეს სად, როდის, ან რამდენი შეიტანოს, რანაირ კვიტანციას მიიღებს, ან რანაირი უნდა მისცეს, თავის შემოსავლის პროცენტები გამოთვალოს და სხვ. ერთი სიტყვით, მან უნდა იცოდეს დაზღვევის მთელი სისტემა. ამის გაცნობა და საფუძვლიანათ შესწავლა სწავლის გასაგძელებელ სკოლაში წარმოებს. აქვე სწავლობენ დავთრის წაყვანას და სავაჭრო საანგარიშოებს. (მარტივი ბუჰხალტერია).

რეალური საგნებია: ისტორია, გეოგრაფია, მეურნეობა და სხვა-და-სხვა ააღებ-მიცემო ხელობა.

ისტორიის სწავლა მდგომარეობს ვიურტემბერგის და გერმანიის პოლიტიკურ წყობილების გაცნობაში და წარსულის აწმყოსთან დაკავშირებაში, სამშობლოს პოლიტიკურ განვითარებაში და პოლიტიკურ მართვა-გამგეობაში. აქ უნდა შეისწავლონ მთავრობის ვინაობა და უფლება—მოვალეობა ერთი მხრით, ხალხის ვინაობა და უფლება—მოვალეობა მეორე მხრით, თანახმათ ამისა სწავლის პლანია: მთავრობის მხრივ, გერმანიის იმპერატორი, კანცლერი, მოკავშირეთა საბჭო (Bundesrath), ვიურტემბერგის მეფე, მისი მინისტრები, გუბერნატორები და მაზრის უფროსები; ყველა ამათი უფლება, მოვალეობა და ადგილი სახელმწიფოში. იმასთანავე შეერთებულია გერმანიის გაერთიანების ისტორია. ხალხის მხრივ: რეიხსტაგი, ლანდტაგი, საბჭო, მოქალაქე, მათი არჩევანი და მოვალეობა. ამასთან შეერთებულია კონსტიტუციის და პარლამენტალური წყობილების ისტორია და მნიშვნელობა. აგრეთვე ეცნობიან სხვა ქვეყნების წყობილებასაც. გეოგრაფიის უმთავრესი საგანია გერმანია და გერმანიის წარმოება, მრეწველობა, მეურნეობა, ნაწარმოებთა საზღვარგარეთ გატანა, თუ შიგნით შემოტანა, ვაჭრობის მიმდინარეობა, კოლონიები, გადასახლება, გერმანიის მისიონერები და სხვ. ამასთან შეკავშირებულია ყველა ქვეყნის გეოგრაფია, განსაკუთრებით ევროპის, ამერიკის და აფრიკის.

ბუნების-მეტყველება შეერთებულია მეურნეობასთან და ააღებ-მიცემო ხელობასთან. მეურნეობაში განსაკუთრებით ყურადღებას იქცევენ შინაური ცხოველები, მათი მოვლა და მოშენება, მეურნეობისათვის სასარგებლო და მავნე ცხოველები, მიწის თვისებები, მიწის სხვა-და-სხვა ნაყოფი, ბოსტანი, ევნახი და სხვ. ააღებ-მიცემობაში: მაშინები, მაშინების

*) ის. „კვალი“ № 48.

როლი წარმოებაში. ახალი გამოგონილი საწარმოო იარაღები და სხვ. აქვე ხატვა და ზომა.

იმდენათ, რამდენათ დრო ნებას იძლევა ჰიგიენასაც გადიან. მთელი ეს მასალა ორი წლის გან მავლობაში უნდა იქმნეს შესწავლილი. გაკვეთილია საღამოს, რისთვისაც ამ სკოლას ხალხში უწოდებენ „ზამთრის საღამოს სკოლა“ (Vinteralendschule).

უკანასკნელი ორი საგანი იცვლება თანახმათ ადგილობრივი პირობებისა და მოთხოვნილებისა. აცნობენ წარმოების იმ დარგს, რაც თავის სოფელშია და რაც მკვიდრთ აინტერესებს. იქ სადაც ღვინო არ დგება, ვენახზე საუბარი ფუჭია. აქ ითვისებენ, რასაკვირველია, ელემენტალურ ცნობებს და არა დაწვრილებითს, სპეციალურს. სპეციალური სწავლისათვის საჭიროა სპეციალური სასწავლებელი, რომლის გახსნა საზოგადოების საქმეა. ხაზინა აქაც ეხმარება.

ასეთი სპეციალური სწავლის გასაგძელებელი სკოლა ორნაირია: სამეურნეო და სავაჭრო-სამრეწველო [1]).

სამეურნეო სწავლის გასაგძელებელი სკოლა ოთხ ნაირია: 1) სამეურნეო სწავლის გასაგძელებელ სკოლასთან შეერთებით, ამ შემთხვევაში გაკვეთილთა რიცხვი მატულობს და სამეურნეო ნაწილს უფრო დაწვრილებით გადიან, ვინემ ზევით მოყვანილი პროგრამა აჩვენებს; 2) საკუთარი სამეურნეო სკოლა; 3) საღამოობით მოზდილთა სისტემატიური კრება; 4) კითხვის საზოგადოება (Leseverein). ყველა ეს წარმოებს ზამთრობით, კვირაში ერთი საღამოა მიჩენილი. მოწაფენი, ანუ მსმენელნი არიან 14—18 წლის და 18 წლის ზევით, მოზდილი ვაჟკაცნი. პირველნი გადიან მოკლეთ, მეორენი კი დაწვრილებით. მასწავლებელი ან ადგილობრივი სასოფლო სკოლის მასწავლებელია ან და რეალური სამეურნეო სასწავლებლიდან მოწვეული. სოფლის მასწავლებელთათვის დრო-გამოშვებით იკითხება სამეურნეო ლექციები ჰოჰენჰაიმის სამეურნეო აკადემიაში (შტუტგარტთან ახლოს). მასწავლებელი აქ იძენს სამეურნეო ცოდნას და თავის სოფელში მასწავლებლობს. იქ, სადაც სამეურნეო სკოლა არის, საზოგადო სწავლის გასაგძელებელი სკოლა ისპობა, ხოლო საკვირაო რჩება. ყველა ეს დამოკიდებულია ადგილობრივ მოთხოვნილებისაგან.

სამეურნეო სკოლებს ყოველ წელს ათვალიერებს „ბაზრის სამეურეო საზოგადოების“ წევრი, რომელმაც აგრონომია იცის და სწავლების ანგარიშს წარუდგენს „საზოგადოებას“. აქედან კი სამეურნეო საზოგადოებათა ცენტრალურ კომიტეტს ეგზავნება.

მეორე ნაირი სპეციალური სწავლის გასაგძელებელი სკოლა არის სავაჭრო სამრეწველო. მისი დანიშნულებაა მოწაფეთა განვითარება ვაჭრობა-მრეწველობის საქმეში. სწავლის მასალა განიყოფება სამათ. I ხატვა: 1) უბრალო ხატვა, 2) გეომეტრიული ხატვა, 3) ტეხნიკური ხატვა. II მეცნიერული ნაწილი: 1) სამშობლო ენა (კითხვა, თხზულების წერა, რაც კი ვაჭრობას შეეხება), 2) ანგარიში (ზეპირათ და წერით, აგრეთვე მეტრიკული სისტემა, რთული პროცენტები და სხვ.), 3) დავთრის წაყვანა—(Buchführung) 4) ბუნების მეტყველება. III ვაჭრობა: 1) სავაჭრო მიწერ-მოწერა, 2) სავაჭრო ანგარიში, დავთარი (ბუხჰალტერია), 3) უცხო ენები, ვაჭრობის ისტორია, გეოგრაფია, სტენოგრაფია, ეკონომია და სხვ. ამ ტიპის სკოლას ეკუთვნის აგრეთვე „ქალთა შრომის სკოლა“ (Frauenarbeitsschule), სადაც ასწავლიან განსაკუთრებით ხელ-საქმეს და აძლევენ ისეთ ცოდნას, „რაც ქალთა ახალგაზდობას თავის რჩენას გაუადვილებს“. („დებულება“).

ამნაირათ ხალხის განათლების საფუძველია პირველ დაწყებითი სკოლა, აქ შეძენილი ცოდნა განიერდება და მრავალიც ერთვის საკვირაო და საზოგადო სწავლის გასაგძელებელ სკოლაში. სამივე ეს დაწესებულება შეიცავს საზოგადო განათლებას და არის კანონით სავალდებულო. ორი დანარჩენი —სამეურნეო და სავაჭრო—სწავლის გასაგძელებელი სკოლა შეიცავს სპეციალურ საგანს, გამოწვეულს ადგილობრივი მოთხოვნილებით, მკვიდრთა ადგილობრივი ნივთიერი პიროპებით და მაშასადამე ის ყველგან, ყველა სოფელში და მაზრაში ერთი და იგივე ვერ იქნება. ამიტომ ამ ტიპის სასწავლებლის გახსნა საზოგადოების სურვილზე არის მიშვებული. საზოგადოება, რომელიც უფრო სავაჭრო ასპარეზზე მოქმედებს, სავაჭრო კურსებს ხსნის, თუ მეურნეობს, სამეურნეო სწავლას ეტანება. პირველნაირი სასწავლებელი უფრო ქალაქებში და გაქალაქებულ სოფლებშია. ეს საქმე აქაურ ქალაქებში სამაგალითოთ არის მოწყობილი. თითოეულ უბანში ქალაქის თვით-მმართველობა სავაჭრო კურსებს ხსნის, სადაც საუკეთესო მასწავლებლებია მიწვეული. სწავლის საგანი, ძრიელ ფართო და ვრცელია, მარა ყველა ამაებში უპირველესი ალაგი უჭირავს ანგარიშს, ბუხჰალტერიას და ენებს [1]).

---

[1]) სრული სახელი: Landwirtschoftliche freiwillige Fortbildungsschule და gewerbliche Fortbildungsschule.

[1]) ურიგო არ იქნება ჩვენებურ ქალაქთა თვითმმართველობამ იქაურ თვით-მმართველობას ამ საქმეში მაინც წაბაძოს, მით უფრო რომ ამას დიდი ხარჯი არ ჭირდება.

პროგრამა კი ყველგან ის არის, რაც ზევით მოვიყვანეთ, ხოლო ზოგან ვრცლათ გადიან და ზოგან მოკლეთ. სამეურნეო კურსები კი, რასაკვირველია, ასე გავრცელებული არ არის. მეურნეობა ქალაქს არ აინტერესებს და ამ საგნისათვის არც ზრუნავს, და რადგანაც დღეს ქალაქი ბატონობს და არა სოფელი, ამიტომ სამეურნეო განათლებასაც მეორე ხარისხოვანი ადგილი უჭირავს. სამეურნეო სწავლა-ცოდნას ეტანებიან განსაკუთრებით მემამულენი. ესენი ადგენენ სამეურნეო საზოგადოებას და ცდილობენ ხალხში სამეურნეო სწავლა გაავრცელონ. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოგვიდგენს პრუსიის „მეურნეთა კავშირი“ (Bund der Landwirthe), რომელიც იმავე დროს კონსერვატიული პარტიის ბუდეა.

რაც ჩვენ ვთქვით სასოფლო სკოლების და მათი პროგრამების შესახებ იგივე უნდა ითქვას ქალაქის სკოლების და მათ პროგრამების შესახებაც, იმ გარჩევით, რომ აქ მრავალ კლასიანი სკოლებია და მაშასადამე პროგრამასაც ვრცლათ და ბეჯითათ გადიან.

ამით ვათავებ სკოლებზე ბაას და გადავდივარ სოფლის მასწავლებელზე.

საზღვარგარეთელი.

(შემდეგი იქნება).

განგება ღვთისა აღსრულდეს!..

(ოსური ლეგენდა)

დეკანოზი თანდილა, თორმეტი წლის წინადი ბარის ოსებში დეკანოზათ იყო. თავის სამშობლო ადგილს ყმაწვილობითვე თავი დაანება და მინდვრათ — ოსებშივე შეირთო ცოლი და შეუდგა ოჯახის მოშენებას... იგი ორმოც-და-თუთხმეტ წლამდე იყო მიხწეული. მას კარგა ხანია სურდა თავის მთაში დაბრუნება და ბოლოს დროს თავის ცოლთან ბაასი სულ იმაზე-ღა ჰქონდა, რომ დროით მიბრუნებოდა თავის ძვირფას სამშობლოს, სადაც მას გაეტარებია თვისი სიყმაწვილე და სადაც „ეგულების მამა-პაპათა კუბოს ფიცარი“ და ამისთვის ერთ შაბათ დღეს, დაღალულ დაწყვეტილი ყოველ დღიური საოჯახო საქმის კეთებით — შეუდგა მამა-პაპეულ სადგომისკენ გადასახლების სამზადისს. მიიმხრო ცოლიც, მიატოვა ბარათ ცხოვრება და გადასახლდა ს.

ვილდას, რომ იქ მაინც დაძაბუნებულს და მოხუცებულს მოესვენა.

იგი მხნე იყო და გამჭრიახი; დაუღალავი, მაგრამ მაინც ღარიბი. მისი მთიური დარბაზი იყო ძველი და გათახსირებული. ერთათ-ერთი შვენება მის მდგმოიარობისა იყო სახლწინ ნაძვის ხე — ზამთარ ზაფხულ მწვანეთ მოღადღადე და მის ძირშივე აგურის თაღით ამოყვანილი, ყინულივით ცივი, ბროლივით წმინდა ანკარა წყარო, რომელიც ადგილობრივ ოსებს გამკურნებელ და წმიდა წყლათ რწამდათ.

თანდილას სიცოცხლეში ბევრი რამ გადახედია; უნახავს მრავალი მდიდარი ოჯახი, არამც თუ თავად-აზნაურებში, თავის კარის მეზობლებშიაც, მაგრამ არც ერთხელ მათ მიერ შური არ დაბადებია. ერთხელაც არ გაუვლია გულში შეედარებიოს მათთვის თავისი ღარიბი ოჯახი. იგი მამა-პაპეულ ადგილში კაი ხანია არა მდგარა; ბარათ ცხოვრებდა და იქაც ნახევარზე დეკანოზობას უნდებოდა და, აშკარაა, ხელმარტო ოჯახს წინ ვერ წასწევდა. მაგრამ ახლა, როდესაც იგი დაბინავდა თავის სამშობლოში, თავისუფალი დრო ხელთა რჩებოდა, ცდა და ფიქრი შეეძლო რამდენიც სურდა.

რამდენი ხანიც დაჰყო დეკანოზმა სამშობლო ადგილს, იმდენი უფრო უკმაყოფილო რჩებოდა თავის ქონებით. თვალში ეჩხირებოდა მეზობლის დარბაზი, სულ მუხის გულით ნაშენები ქედობზე, მის სახლის ახლო, რომელიც გვერდზე ძველ კოშკმიდგმული, მძლავრათ და ამაყათ გადმოიყურებოდა. „ნამდვილი არწივის ბუდეა! ვაჟკაცური, მაგრამ არა შესაფერი მის პატრონისა“, ამბობდა გულში დეკანოზი. ეს იყო ეს უკლავდა გულს. გადასწყვიტა მისი დასაკუთრება თანდილამ და თვისი აზრი გაუნაწილა მეუღლეს. მისთვის კი არა რომ მისგან რჩევა რამე მიეღო ამ საგანზე, თანდილას ქალთან თათბირი დამცირებათ მიაჩნდა, თუმცა იგი იყო მისი ცოლი და დედა ოთხი ვაჟიშვილისა. მან თვისი მოსაზრება მიტომ წარუდგინა ცოლს, რომ სურდა ხმა ამოეღო, დალაპარაკებოდა ვისმე. ქოქიონას (ასე ერქვა ცოლს), ეშინოდა თავისი ქმრისა, ემორჩილებოდა ყველაზე, ხოლო ამ შემთხვევაში მისი გული შეტოკდა, სინიდისმა გაბედვია ეთქვა ქმრისთვის, რომ კოშკიანი სახლი, შეადგენს თანდილას ძმისწულის საკუთრებას და წართმევის უფლება არა აქვს.

ცოლის წინააღმდეგობამ თანდილას მწარე ღიმილი მოჰგვარა. ქიტას! მერმე რა ძალა აქვს ქიტას? ჩემზე ხომ „უპრიანია“, როგორც ბიძაზე. ქიტას რა შნო აქვს იმ სახლების მოხმარებისა. ქიტას, რომელსაც ცხვრის ტყავი ზამთარ-ზაფხულ ტანიდან ვერ

მოუშორებია და გდია კერას პირას გაუნძრეველი. აფსუს სახლო, აფსუს ოჯახო!

—ნუ თუ ქიტასთანაც ხელის გაქნევა დამჭირდება?! მივცემ სამაგიეროთ ჩემ დარბაზს და ხოდაბუნებს და თუ აიმრიზა, არ დაკმაყოფილდა, ნაძვის ხე და მისი ჯანი! ჩურჩხელასაებ ჩამოვკიდებ ზედ, მორჩა და გათავდა...

ქიტას წაართვეს სახლკარი, წაართვეს დარბაზი—შეენება მთელი სოფლისა და იგი, რასაკვირველია, ჩიოდა ამას საქვეყნოთ. ამიტომ ერთ ღამეს თანდილამ ქიტა ჩამოჰკიდა ნაძვის ხეზე და ჩამოახრჩო. დიდი ტირილი და ვაება ჰქონდა ქოქიონას წმიდა ხის გაცოდვიანებაზე, მაგრამ რას იზამდა! დეკანოზი იცინოდა; შვილები კი ჩუმათ ტიროდენ. მხოლოთ მეზობლობა, რომ გაუვლიდა ნაძვის ხეს წყაროს ამოსაღებათ, შენდობას უთვლიდენ ქიტას და თანვე გაოცებით გაიძახოდენ: ,,ღმერთო, რა ცოდვა დატრიალდაო!..

—

განვლო წელიწადმა; დეკანოზს სახეზე სევდის დაღი დაეტყო, შეიქნა ჩაფიქრებული, იყო მდუმარე—გაუცინარი. დამდეგ მაისს, როდესაც ოსთა წითელ ხატობამ მოატანა, იგი შეუდგა სამზადისს და მოისურვა დღეობის გადახდა. ამ ნადიმს მრავალი ოსობა დაესწრო. ბევრმა უსურვა ახალ შეძენილი დარბაზის მშვიდობაში მოხმარება. დღეობამ გასტანა ორი დღე და ღამე: ლუდი და არაყი წყალივით ისმოდა. მასპინძელი ისე გაპურადდა და გამხიარულდა, რომ ორი კოკა ღვინოც კი ამოატაინა ბარის ოსებიდან.

მაგრამ დეკანოზს გულს უკლავდა მეზობლებისაგან ნანახი და ნაამბობი; ერთი მენახირე გულ მოდგინეთ ფიცავდა წმიდა გიორგის სახელს და მის შუბის წვერს: რომ ზედი-ზედ შვიდი ღამეა მესმის ნაძვის ხის ტოტების ლაპარაკი და ჩურჩული, როგორც ნამდვილი ადამიანის, მასთანავე დეკანოზს თავის ყურითვე გაეგონა რამდენჯერმე სახელი ჩამოხრჩობილისა: ,,ქიტა-ქიტა"!

დღეობის დასაწყისში, დეკანოზის ზოგიერთ მეზობლებს, საღამოს ჟამს დაენახათ ნაძვის ხე, სრულიად გატიტვლებული, უფოთლოთ, უტოტებოთ, რომელზედაც აშკარათ ენახათ გვამი ქიტასი, ცხვრის ტყავში გახვეული, ტოტზე თოკით ჩამოკიდებული და ყელში მოხრანტალე. დეკანოზი მით უმეტეს ელოდა სასჯელს, რომ მისივე მეგობრები, მოხუცი დეკანოზნი, უქადდენ დალუპვას და სასტიკ სასჯელს უფლისას.

ნიშნები მისის სასჯელისა თან-და-თან ჩნდებოდა. არ გასულა ერთი კვირა, რომ ნაძვის ხე ძირიან წაიქცა. შემდეგი კვირის ხუთშაბათს, ღამე ატყდა ელვა—ჭექა, დაეცა მეხი ციხეს და ძირიან აღმოფხვრა. ხოლო მესამე კვირა ღამეს, წყაროს შუა გულიდან ამოვიდა მოხუცი თავით ფეხამდე თეთრი თოვლივით, ხელთ ეპყრა ყავარჯენი, რომელიც სამჯერ მუქარით შემოიქნია დეკანოზის დარბაზისკენ; მეორე დღეს დილით წყარო დაშრა და აღარ ჩანდა მისი არსებითი ნიშანიც. მთელი სოფელი შიშის ზარმა აიტანა საყოველთაოთ, ,,ღვცაუ ბაყასქენო" *) გაიძახოდენ, ,,უბედურება მოელის ჩვენ ცოდვიან სოფელსო". მაგრამ გულქვა დეკანოზი, როდესაც უამბობდენ ამ ამბებს, მწარეთ იღიმებოდა და გაუტეხავათ ემუქრებოდა მთხრობელს, თუმცა ბოლოს, ცოდვის მოსანანიებლათ ორი დღე და ღამე გაჭიმა დღეობა და წვეულება. გათავდა დღეობაც. სტუმრები წაიდ-წამოვიდენ და დარბაზი დეკანოზისა მოიცვა გულშემხუთველმა მდუმარებამ. განვლო მას შემდეგ რამდენიმე დღემ და დეკანოზს პირველი უბედურება დაატყდა თავს: მისი უფროსი შვილი, რომელსაც თურმე ,,ლაჭაურის" ფოფხზე ცხვარი ეძოვებია, დაგორებულ ცხვარს გაჰყოლოდა დასაჭერათ, გადაჩეხილიყო უზარ-მაზარ კლდიდან და იქვე სული დაელია. ამის გამო, მასთან მყოფი, მოჯამაგირე ოსი, დეკანოზმა ხანჯლით დაჩეხა, რატომ არ უშველე ჩემ შვილსო.

არ გასულა დიდი ხანი, რომ მისი მეორე შვილი ცხენმა დაჩეხა ერთი ოსის ნახევარ წლის წირვაში. ამ დროს იარაღის გამოფენა იციან მიცვალებულის საფლავზე და დაესწრებიან ყველა მოჯირითენი საგანგებოთ არჩეულ ცხენებით. ვინც ხეზე ჩამოკიდებულ იარაღს გაჭენებული ცხენით შეწვდება, მისია ჯირითი მოგებული და გამოფენილი იარაღიც მას რჩება. დეკანოზის მეორე ვაჟი დაესწრო ამ წირვას; მართალია ჯირითი მოიგო, მაგრამ ფეხი უზანგიდან უდროვოთ გამოაცალა და ცხენიდან გადმოვარდა; ცალი ფეხით უზანგოში გაყრილი ცხენმა დიდხანს ათრია და ბოლოს შეიწირა კიდეც..

მესამე შვილი სმის დროს ერთმა ოსმა დამბაჩით მოჰკლა. მეოთხე კავკავის ოსებში გადავიდა და იქ სამუდამოთ მიიკარგა. დეკანოზის ცოლს ამბავი მოუვიდა, რომ იქ ქისტებთან ერთათ ავაზაკობისათვის ყაზახებმა მოჰკლესო.

საწყალი ქოქიონა! დღე და ღამ აფრქვევდა ცრემლს და სანთელივით დნებოდა ნაღვლისაგან.

თვით დეკანოზი ოთხი ვაჟიშვილის ზედი-ზედ დახოცვით მოტყდა და მოუძლურდა, ერთ დღეს აილო ჯოხი და ბარის ოსებში ჩავიდა მღვდელთან რჩევისათვის. მღვდელმა ურჩია გულწრფელი ლო-

---

*) ღმერთო გვიშველე.

ცვით გამოეყიდა თვისი შეცოდებანი. ურჩია აეშენებია ნიშიც და იქვე ელოცნა მუდამ დღე.

რამდენსამე კვირას შემდეგ, სოფ. ვილდას დეკანოზმა ააშენა ახალი ნიში მუხის გულის ნათალი ფიცრებით. თვით ქუდ მოგლეჯილი, სანთელ კელაპტრებით იდგა ხოლმე ნიშის წინ დ, ხანგრძლივათ ეევედრებოდა უფალს.

მალე ქოქიონაც ჩავარდა ლოგინათ და გამოესალმა წუთი სოფელს.

ცოლის უეცარმა სიკვდილმა წელი მოწყვიტა დეკანოზს, იგი თმა გაწეწილი გიჟივით გაეშურა ისევ ღვდელთან; უამბო თავის უბედურება და რჩევა შეჰკითხა:

— მღვდელო, რა ექნა, რომ მოვინანიო ცოდვანი ჩემნი?

მოძღვარმა მძიმეთ გადისვა ხელი წვერზე, გადასახა პირჯვარი თანდილას და დინჯათ მიუგო:

— ჩანს, შვილო, მძიმენი არიან ცოდვანი შენნი... განგება ღვთისა აღსრულდეს!..

ამით გადუწყდა უკანასკნელი იმედი დეკანოზს. იგი მუხლებში იქვე მოწყდა და დასუსტებული ნაბიჯით შეუდგა ს. ვილდას ასავალ აღმართს. გზაში ბევრგან დაისვენა ღონე მიხდილმა. შესვა ბევრგან მთის წყარო, მაგრამ უგემურათ ეჩვენებოდა. თავისი წყარო აგონდებოდა, თავზე ნაძვის ხე წამოდგმული. მოეჩვენა რამდენჯერმე ცხვრის ტყავში გახვეული ქიტაც. იგი აირია, დაიბნა. მანამ სახლს მიატანდა შეიშალა კიდეც და გავარდა ტყეში. ერთ კვირას შემდეგ მგზავრმა სოფელში ამბავი მოიტანა: ღმერთმანი, თანდილა დათეს შეუჭამია, წიფელას ტყეში; მისი თავი გამოხრული ენახე და ხანჯალი წიფლის ძირში ჩაჭანგებულიო.

დეკანოზის სიკვდილს შეჰდეგ ერთი საოცრება მოხდა. სოფლის წყარომ ძველებურათვე იწყო ჩუხჩუხი, ნაძვის ხე ადგა და შეიმოსა სასიამოვნო მწვანე ფოთლებით. ამასთანავე ერთათ სოფელმა ააშენა ახალი წმიდა გიორგის ნიში, რომლის დღეობაზე მთელი მთის ოსობა თავს იყრის ხოლმე. თვით დეკანოზის ძველი დარბაზი და ქიტას კოშკიანი სახლი მიინგრა-მოინგრა. ღვარძლა, ცუდი ბალახია შიგ ამოსული და სხვა-და-სხვა ქვეწარმავალი ბუდობს.

ს. ეზისთავი.

უცხოეთის ამბები.

ასული კვირის განმავლობაში სტამბოლში კუნძულ კრიტის საქმეების მოწყობაზე ჰქონდათ სჯა. ელჩებმა საერთოთ განუცხადეს ოსმალეთის მთავრობას, რომ ისინი თანახმა არიან უცხოელების ჩარიცხვაზე კრიტის ჟანდარმებათ და აგრეთვე ჟანდარმების უფროსებათ უცხოელ აფიცრების დანიშვნაზე. 19 ნოემბერს მოხდა უკანასკნელი სხდომა იმ კომისიისა, რომელსაც უნდა მოეწყო ჟანდარმების საქმე კუნძულ კრიტზე.

ოსმალეთის დელეგატებმა ამ სხდომაზე განაცხადეს, რომ პორტა არ ეთანხმება უცხოელების ჩარიცხვაზე ჟანდარმერიაში, მაგრამ თანახმაა, დროებით დანიშნონ უცხოელი აფიცრები. ეს კომისია და აგრეთვე სამოსამართლო რეფორმების კომისია ახლო ხანში გაემგზავრება თავის დანიშნულების ადგილზე.

თითქმის ამავე დროს ელჩებმა პორტას წარუდგინეს წინადადება, რომლითაც ისინი თხოულობენ, რომ კუნძულ კრიტზე გაგზავნილი საადლინ-ფაშა ისევ უკან იქნას დაბრუნებულიო; ამასთანავე დათხოვნილ იქნას კრიტის ჯარების უფროსი. ამას გარდა ელჩები თხოულობენ, რომ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდენტათ და ობერ-პროკურორათ კრიტისა ქრისტიანები უნდა იქმნენ დანიშნულიო. ამაზე პორტამ უპასუხა, რომ საადლინ-ფაშის გაგზავნას კრიტზე, მხოლოთ სამხედრო და ადმინისტრატიული ხასიათი აქვს და არა პოლიტიკურიო.

სტამბოლში ამ დღეებში დააპატიმრეს ზღვის სასწავლებელის 15 მოწაფე და სამხედრო სასწავლებელის 4 მოწ. და აგრეთვე სხვა კერძო პირნი; ეს გამოწვეულია ოსმალეთის ახალგაზდების მოძრაობის გამო. ამავე დროს სტამბოლიდან იწერებიან, რომ ხარპუტში და დიარბერქირში არეულობა მოხდაო და ალაშკერტის საოლქოში ოსმალეთის ჯარი სომხებს შეეტაკაო, მაგრამ ამ ამბების შესახებ ჯერ-ჯერობით ელჩებს არავითარი ცნობა არ მიუღიათ.

ამ ღღეებშიეე დამთავრდა საპარლამენტო არჩევნები ბოლგარიაში. არჩევნების დროს უბედურება არ მომხდარა, თუმც მართებლობის მოწინააღმდეგე პარტია ძლიერ მოწადინებული იყო უწესობა მოეხდინა, მაგ., სატახტო ქალაქ სოფიაში ქვებიც კი დაუშინეს პოლიციელებს. საზოგადოთ ოპოზიცია

წლეევანდელ არჩევანებში დიდ მონაწილეობას ღებულობდა, მაგრამ ამის მიუხედავათ მეტათ საგრძნობლათ დამარცხდა. 169 არჩევანიდან მართებლობის პარტიამ გაიმარჯვა 151 არჩევანზე, ოპოზიციამ მხოლოთ 14-ზე (4 არ შედგა); ამასთანავე არც ერთი ოპოზიციის გამოჩენილი მეთაური: რადოსლავოვი, გრეკოვი, ცანკოვი და კარაველოვი,—არ აურჩევიათ.

სახუმარო გასართობი.

ივანიკა. გამარჯობა შენი, გოჯასპირ.

გოჯასპირ. ღმერთმა გაგიმარჯოს, ივანიკა!

ივანიკა. ამისთანა გამარჯვება მიეცა ბერძნებს და ვინც ჩვენი შავი ქვის საქმეს ახდენს!

გოჯასპირ. როგორ კაცო! საიდან მოდიხარ?

ივანიკა. საიდან მოვდივარ და ბათუმიდან!..

გოჯასპირ. ბათუმში რა გინდოდა?

ივანიკა. რავა რა მინოოდა?... ამას წინეთ ფოთში ვიყავი ბერძენ იანოპულოსთან, ფულების ასაღებათ, იმან ბათუმში დამიპირა. შენს მტერს მისთანა, მე მომივიდა. ვეძიე, ვეძიე, რა ბძანებაა?.. სადაც ჳიკითხე კანტორებში, კინალამ ცხვირი მომტეხეს, აქანა ფოთი კი არ არის, ბერძენის კანტორას რომ ეძებო!.. იმ ზომაზე მივედი, რომ სახარჯოც გამომელია. ისთევე ვარჩიე ქიათურისკენ დაბრუნება. გავბრიყვდი, ძმაო, მეც მოვკიდე მარგანეცის წარმოებას ხელი და ჩაუვარდი იმ წყეულ ბერძნებს ხელში. ახლა სხვა არა იყოს-რა მუშებს ველარ გოდურჩები მოუკლავი. გამიშპა ხელიდან და მუშების ფულიც მე დამატეხა კისერზე. შენ, გოჯასპირ სად იყავი?

გოჯასპირ. მეც ვიყავ ფოთში.

ივანიკა. ვაი თუ შენც ჩემსავით ატრუკდი?..

გოჯასპირ. აოხრება და გატიალება იმათ, ვინც პირველათ ისინი ჩამოათესლა ქიათურაში?

ივანიკა. შენ მაინც, რომელთან გაქ საქმე?

გოჯასპირ. აკი, გაუწყრა ღმერთი, მოგების სულმა წამძლია და ახლა მეც შენისთანა ტაფაში ვიხრაკები! ჩამსვა იმ მამაოხრის შვილმა,—ავგერინოა, თუ ვილაც ჯანდაბა! ათი დღე დავრჩი, ფულს ვუყურებდი, არ იქნა, არ მოუვიდა: „პარახოდი“ მოვა, ფული ბლომათ იქნებაო,—მატყუებდა მისი პრიკაშჩიკი. განა მე არ ვიცოდი, რომ „პარახოდით“ ფულს არ მოიტანდენ? მაგრამ ეს იყო თვალების აბმა და კიდეც ასე გვიბმენ თვალებს ბერძნები. ევროპიელებმა, ხომ ლამის ჩაგვყლაპონ.

ივანიკა. მაინც რა იმედით გამოგისტუმრა?

გოჯასპირ. ათი მანეთი მომცა სახარჯოთ, წადი ქიათურაში ფული იქ მოგივაო. აბა, რას მომცემს! თურმე ბანკები მოუტყუებია და ახლა დასაჭერათ ეძებენ.

ივანიკა. ჩვენი საქმე ცუდათაა, ნამეტურ მემამულების, თუ რამე არ მოვახერხეთ...

გოჯასპირ. აბა, რა უნდა მოვახერხოთ კაცო! რამდენი ამხანაგობები შედგა: „სინდიკატი“ ვარო, მეორე კავკასიის შავი ქვის ამხანაგობა ჩ-ძის მეთაურობით და—მესამეც რაღაც „ობშჩესტვოს“ ეძახიან, ორასი კაცი არის შიგ მომწყვდეული და ყველას ბოლო ელება. პირველმა სინდიკატმა, ზ—ჩის მეთაურობით, სახელი კარგი გაითქვა. მაგრამ ვისაც სისხლი ედგა, ყველა წურბელასავით გამოწოვეს ევროპიელ კაპიტალისტებმა და მათმა კამისიონერებმა.

ივანიკა. მერე ბ. ზ—ჩი რას უყურებს! მასთე რავა გასულელდა?..

გოჯასპირ. იმაშიაც მოვტყუვდით. მართალია, განათლებული კაცია, მაგრამ წარმოება-მრეწველობას სულ სხვა გოგრა უნდა. ჩ-ძემ თავისი ამხანაგობა შეადგინა, ფასები დაუკლო, სინდიკატს გავაკოტრებო, მერე მთელი მარგანეცი მე დამრჩებაო. თითონაც გაკოტრდა, სინდიკატსაც საქმე წაუხდინა და ჩვენ ყველანი წყალში ჩაგვყარა. ჩ—ძეს რომ საქმე მოუვიდა, შენს მტერს! კინალამ ხანჯლებით დაჩეხეს ერთმანეთი. ჩ—ძე აბასთუმანში იმალებოდა სამ თვეს, როცა მისმა ამხანაგებმა შეატყეს, რომ მისგნით მოტყუებული დარჩენ.

ი—კო მეთვალყურე.

(შემდეგი იქნება)

„ᲙᲕᲐᲚᲘᲡ“ ᲤᲝᲡᲢᲐ.

სად. კერარი. ვანოს: თქვენი ლექსი ჭეინელდან არ ღირებულებს; თარგმანი დედანს არ უმგზავსება.

სოფ. ჩ—თი. ა. დ—ს: ახლა თქვენ ასწავლეთ ბავშებს უკეთესი გალობა. „სოფელში მიდრეკილი ზნეობა“ გასწორეთ და ჩვენც გაგვთავისუფლეთ ამ გვარი ლექსების კითხვისაგან.

სადა ქართველს: თქვენი ლექსი „ვისაც როგორ მოუნდება, ისე უნდა ჩასხველოს“ წავიკითხეთ, ბევრი ჩასხველეთ, გვეგონა ამით ლექსის შინაარსს გაიგებდით, მაგრამ ვერას გაუგიეთ, ამიტომ ვერა ვუყავთ მის დასტამბას.

ი. ც—ის: თქვენ ლექსს: „ვინ მოსწონთ ესლა ჩვენ ქალებს“, მნიშვნელობა არა აქვს, მანამ არ გაიგებთ: ვინ მოსწონთ ახლა ჩვენ კაცებს; ლექსიც ამიტომ ვერ დაისტამბება.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთელისა.

ქართული თეატრი.

ᲙᲕᲘᲠᲐᲡ, 24 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘᲡ 1896 Წ.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ ავალოვისა, ალექსეევ-მესხიშვილისა და ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

I

ᲣᲠᲘᲔᲚ—ᲐᲙᲝᲡᲢᲐ

ტრაგ. 5 მოქ., თარგ. ბაქრაძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ავალიშვილისა, იგანიძე, კუნდელი და სხვ. ბ.ბ. ალექსეევ-მესხიშვილი, ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, მარჯანოვი, გამყრელიძე, კანდელაკი, ადამიძე, კარბელი და სხვა.

ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ

ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ 8 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ

რეჟისორი. გ. ს. ალექსიევ-მესხიშვილი.

ადმინისტრატორი გ. შთიბრიშვილი.

ᲔᲥᲘᲛᲘ Გ. Ი. ᲑᲐᲓᲠᲘᲫᲔ

მიიღებს ავათმყოფებს შუადღის 12 საათიდან 3 სათამდე. კირპიჩის ქუჩა სიმონოვის შესახვევში სახლი არაქელოვისა.

ᲞᲐᲜᲪᲔᲠᲘ ᲓᲐ Გ.ᲚᲣᲮᲝᲕᲡᲙᲘ

თბილისი, სასახლის ქუჩა, სარაჯევის სახლი (ეზოში).

ახლათ გაღებული ქარხნის საწყობი

ᲡᲐᲙᲔᲠᲐᲕᲘ ᲛᲐᲨᲘᲜᲔᲑᲘ



ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘᲡ

ᲖᲘᲜᲒᲔᲠ-ᲜᲐᲣᲗᲛᲐᲜᲘᲡᲐ

და სხვა გამოჩენილი სისტემის მაშინები: ოჯახებისათვის და ხელოსნებისათვის. ფასები ქარხნისა.

(25—2)

ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝ ᲐᲛᲑᲣᲚᲐᲢᲝᲠᲘᲘᲗᲣᲠᲗ ᲔᲥᲘᲛ. Ს. Ვ. ᲗᲝᲛᲤᲣᲠᲘᲐᲡᲘ. Ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ.

საავათმყოფოში დგას ორმოცი საწოლი ხირურგიულ, გინეკოლოგიურ, შინაგან სენით და თვალებით ავათმყოფთათვის. გადამდები სენით ავათმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავათმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავათმყოფებს მიიღებს: ექ. ს. ვ. თოფურია.

ხირურგიული, შარდით და ათაშანგით ექ. ფ. ბ. გერრატი.

დედაკაცურ ავათმყოფთ და საბებიოს ქალი— ექიმი. მ. ფ. ჯაგანი.

თვალებით ავათმყოფებს— ექიმი ი. კ. კარშაგსკი.

ამბულატორიასთან არის ქიმიური და ბაქტერიოლოგიური კაბინეტი. იქვე შეიძლება წამლობა ელექტრონული ძალით და მასაჟით.

საავათმყოფოს დირექტორი ს. კ თოფურია.

(10—6)

Доз. ценз. Тифлисъ, 23 Ноября 1896 г. Тип. М. Л. Ротиніанца — სტამბა, მ. ლ. როტინიანცისა Гол. пр. д., №41